

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

Literature and Literary Theory

დისკურსული მჭერმეტყველების ფსიქოლინგვისტური პარამეტრები

ეკატერინე ქრისტინაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ელ. ფოსტა: ekaterinekristi@gmail.com

გურანდა გობიანი

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

ელ. ფოსტა : gobianiguranda78@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.15>

SJIF 2025: 8.584

სტატია ეხება მჭერმეტყველების ფენომენს დისკურსისა და ფსიქოლინგვისტიკის ჭრილში. მასში განხილულია მჭერმეტყველება არა როგორც მხოლოდ ორატორული ოსტატობის გამოხატულება, არამედ როგორც კომპლექსურ ფსიქოლოგიური, ლინგვისტური და კულტუროლოგიური მექანიზმი, რომელიც ჩართულია ადამიანის კომუნიკაციურ, აზრობრივ და შემოქმედებით აქტში. ტექსტის თეორიული ჩარჩო აგებულია ენის, აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთმიმართების ტრიადულ მოდელზე, სადაც მჭერმეტყველება წარმოჩენილია როგორც აზრის რეფლექსიური, სოციალური და ემოციური გამოხატულება ენობრივი ფორმების მეშვეობით.

ნაშრომში ხაზგასმულია ენობრივი აქტის (Speech Act) თეორიის მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს, რომ ენა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემის საშუალება კი არაა, არამედ მოქმედების შესრულების ინსტრუმენტი. შესაბამისად, მჭერმეტყველება განიმარტება როგორც ცოცხალი, დროით და სიტუაციურად შეზღუდული მეტყველებითი პროცესის ზემოქმედებითი ფორმა, რომელიც აერთიანებს გრამატიკულად სწორს, ემოციურად დატვირთულსა და სტილისტიკურად მრავალშრიან გამონათქვამებს.

ამგვარი მჭერმეტყველების მაგალითებად მოყვანილია როგორც კლასიკური რიტორიკული კომპონენტები (ტროპები, რიტორიკული ფიგურები, ბგერითი კეთილხმოვანება), ისე თანამედროვე კომუნიკაციის მახასიათებლები, მათ შორის არავერბალური ელემენტები (მიმიკა, ქესტიკულაცია, ხმის ტემბრი, ტემპი და ა.შ.). ამ კონტექსტში მჭერმეტყველება განიხილება როგორც ცოცხალი ზეპირმეტყველების დინამიკური ფორმა, რომელიც მკითხველის/მსმენელის რეაქციაზეა ორიენტირებული და ურთიერთგაგების აქტიურ პასაჟად გარდაიქმნება.

ხაზგასმულია ნიკოლოზ კანდელაკის როლი ქართული მჭერმეტყველების მეცნიერულ შესწავლაში, რომელმაც მჭერმეტყველება აღიარა როგორც ეროვნული ზეპირსიტყვიერების, კულტურული თვითშეგნების და მეტყველებითი რეპრეზენტაციის ორგანული ელემენტი. კანდელაკის მიერ სისტემატიზებული ისტორიული წყაროების საფუძველზე მჭერმეტყველება წარმოჩენილია როგორც ქართული იდენტობის ენობრივი და კულტურული მატარებელი.


სტატიის ბოლოს ანალიტიკურად განხილულია ზურაბ გორგილაძის პოემური ლექსი „მეთევზე ბიჭის ბაღადა“, როგორც მჭერმეტყველების ფსიქო-ემოციური პოეტური გამოხატულება. ლექსის სიუჟეტური, მეტაფორული და რიტმულ-ბგერითი სტრუქტურა შეფასებულია როგორც დისკურსის და სტილისტიკური მჭერმეტყველების ნიმუში. პოეტური ტექსტი მაგალითად მოყვანილია იმის საჩვენებლად, თუ როგორ გადმოიცემა სიღრმისეული ემოციური გამოცდილება და ადამიანური გრძნობები მჭერმეტყველებითი სისტემის კომპონენტებით.

საკვანძო სიტყვები: დისკურსული მჭერმეტყველება, ფსიქოლინგვისტიკა, ენა და აზროვნება, ზეპირმეტყველება, რიტორიკული ფიგურები, ფსიქო-ემოციური მეტყველება.

ადამიანი მოსაუბრე ინდივიდია - ირგვლივ არსებულ მოვლენებს იგი აღიქვამს, შეიმეცნებს, აზრობრივად ჩამოაყალიბებს/გაიაზრებს და იტყვის. ეს პროცესი ფარული, თვალთ უხლავია (იმპლიციტური) და მუდამ ემდებება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსაუბრე, როგორც შემქმნელი, მომწოდებელი, ყველას გასაგონად იტყვის.

რომელი პარამეტრებია ამ პროცესში ჩართული?

1. უპირველეს ყოვლისა თვით მოსაუბრე, შემქმნელ-მომწოდებელი, ანუ ინდივიდი და მის მიერ აზრობრივი შემოქმედების ენობრივი გამოხატვა.



ყოველივე ეს კომუნიკაციის საწინდარია, მაგრამ კომუნიკაციას სტანდარტული ჩარჩოები არ გააჩნია, რადგან ის მოსაუბრე-კომუნიკანტის შესატყვისია: ვინ ლაპარაკობს, რომელი ეროვნების ადამიანი? მისი საუბარი მისივე ფსიქიკური ფაქტორის განზოგადებული სახეა [Rainer Dietrich, 2002: Psycholinguistik]. გერმანელი ენათმეცნიერი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835) ენის ბუნების შესახებ ამბობდა, რომ ყოველ ერს თავისი გარემოებები აქვს, თავისი საბინადრო ადგილი, კლიმატი, რელიგია სახელმწიფოებრივი წყობა, ზნე-ჩვეულებები... ამის გამო მისი ენა განსხვავებული ბუნებისაა [...], ენაში გამოჭედილია ერის მთელი ხასიათი, იგი ხალხთა შორის ურთიერთგაგებინების მეთაურია.... ყოველი ენა ერის სულიერებაა...

2. პარამეტრთა შორის მხედველობაშია მისაღები ასევე სოციალური გარემო: საუბრის დრო, ადგილი, სიტუაცია, რომელშიც დისკუსია მიმდინარეობს. XX საუკუნის 70-იან წლებში ამერიკელმა ი. ლ. ოსტინმა და მისმა მოწაფემ ჯონ როჯერ სერლმა (J.L. Austin/ John Rogers Searl) ენათმეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით შექმნეს „საუბრის აქტის თეორია“ (Speech Act Theory), ენობრივი ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ენა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემის საშუალება არ არის, არამედ მას შეუძლია მოქმედების შესრულება — ანუ სიტყვებით ადამიანები არამხოლოდ რაღაცას ამბობენ, არამედ რაღაცას აკეთებენ. საუბარი, როგორც კომუნიკაციის ენობრივი შემოქმედება, წინადადების მართო გრამატიკულად და შინაარსობრივად სწორი წარმოთქმა კი არ არის, არამედ მთლიანი აზრის გამონათქვამის სახით ჩამოყალიბებული ერთეულია. ამ ერთეულს

მრავალი თანმხლები მოვლენა და ფუნქცია ქმნის, რამაც საბოლოოდ სწორად ფორმულიერებული აზრი უნდა მოგვეცეს და ამავე დროს მისი სწორი გაგებაც უნდა განაპირობოს [Hannapel/ Melenz, 1984: Alltagssprache. München]. დისკუსიის პროცესში ეს განსაკუთრებით საჭიროა, რადგან სადისკუსიო მსჯელობა მოითხოვს, წარმოთქმული აზრი ფასეული იყოს, ამავე დროს, ქმედითი ძალის მქონე, მომგებიანი. [Ю.А. Сорокин 1985: Психоллингвистические Аспекты изучения текста].

3. დისკუსია, როგორც საურთიერთობო კომუნიკაცია, დიალოგური მეტყველების სპეციფიკური ფორმაა, აზრთა გაცვლა-გამოცვლის მკაცრად საქმიანი, არგუმენტირებული ვარიანტი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლოგიკურად გამართულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მოსაზრებებს. დისკუსია გამოიყენება როგორც ცოდნის გადამხილვისა და გაზიარების ეფექტიანი საშუალება, ასევე კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. დისკუსიაში მონაწილე ინდივიდები/პარტნიორები დამაკმაყოფილებლად, უმჯობესია, კარგად, ფლობდნენ სადისკუსიო მასალას. საკითხის მსჯელობა-განსჯა სერიოზული პოზიციის ამსახველი უნდა იყოს, როგორც დისკუსიის თემატიკის, ისე დისკუსიაში მონაწილე პარტნიორთა მიმართ.

ტრიბუნაზე გამოსვლის დროს ადვილია ასცდე საქმის ვითარებას და გეზი აიღო ან სულაც შემოიფარგლო ოპონენტთა გაკრიტიკებით ან პროპონენტებით (Proponenten - მოძვ. მოთხოვნათა წამომყენებლები. Opponenten und Proponenten). ასეთ შემთხვევაში დისკუსია თავის არსებით სახეს და პოზიციას კარგავს და უბრალო საუბრად იქცევა [Th. Lewandowski. Linguistisches Wörterbuch, 1994 by Quelle & Meyer Verlag. haidelberg. Wiesbaden:231]

მაშასადამე, დისკუსიას თავისი გამოკვეთილი სტატუსი, მიზანი და შედეგი აქვს. ამავე დროს, დისკუსიური სიტუაცია და მონაწილე პარტნიორთა ფაქტორი (იგულისხმება ცოდნის დონე) შესაბამისობაში უნდა იყოს სადისკუსიო პრობლემასთან.

4. ლუდვიგ ვიტგენშტაინი/Wittgenstein (1889-1951), ავსტრიელი ფილოსოფოსი, ამბობდა: „თუ გინდა იცოდე რას ნიშნავს სიტყვა, უნდა დააკვირდე მის გამოყენებას [Ludwig Joseph Johann Wittgenstein. 1889-1951. Hauptwerk: Tractatus Logico-philosophicus 1921]. დისკუსიის მეცნიერულ განსჯაში მრავალი პროცესი მონაწილეობს: ენათმეცნიერება, ლოგიკა და ფსიქოლოგია (ინდივიდის/ხალხის ფსიქიკური სპეციფიკა) - ის ფარული გონითი, აზრობრივი შემოქმედებაა (კოგნიცია), რაც აზრობრივი მნიშვნელობის სწორი ფორმირებისა და გაგების საწინდარია.

სახეზეა მეორე ტრიადა:




დისკუსიაში მონაწილემ უნდა შეძლოს თავისი სიტყვით სადისკუსიო მოვლენების ენობრივად ზუსტად აღწერა/დახასიათება/შეფასება. სიტყვას, წინადადებას არა მხოლოდ მნიშვნელობა

აქვს, არამედ აქვს უდიდესი ცნებითი დატვირთვა: ენობრივ მნიშვნელობასთან ერთად ყოველივე განპირობებულია არსებული ფსიქოლოგიური თუ ყოფითი, სოციალური ფაქტორებით. ეს ადამიანის აზრობრივი და ენობრივი შემოქმედების საზღვრებს აფართოებს და წინა პლანზე გამოდის მჭერმეტყველება.

5. მჭერმეტყველება ფსიქოლინგვისტური პროცესია, იგი ადამიანის შემეცნების, აზროვნების, გაცნობიერების ფარული, უხილავი მოვლენაა, ადამიანის ფსიქიკის შემოქმედებითი ნაყოფი, ფსიქოლინგვისტიკის კვლევის საგანი, რომელშიც შედის მოვლენათა ასეთი მარტივი ჩამონათვალი:

- სიტყვათა მარაგის ცოდნა;
- ცოდნა იმისა, ენაში სად, რომელმა სიტყვამ, რომელ სხვა სიტყვასთან კომბინაციით შეიძლება ზუსტად და მიგნებულად გამოხატოს სათქმელი;
- გრამატიკული კომბინატორიკის ცოდნა. დედაენაზე მოსაუბრისათვის ეს ადვილია, იგი თამამად იყენებს თავისი ენის გამომსახველობით საშუალებებს. უცხოელთათვის კი ის სირთულეებთან და ბარიერებთან არის დაკავშირებული. ენის სისტემის ცოდნა და გამოყენება, შესაბამისად, მესამე ტრიადას გვაძლევს:



ამ ტრიადაში შემავალი ფაქტორების საკითხი მეტად რთულია და დღემდე გადაუჭრელი და სადავო რჩება მეცნიერთათვის.

რაც შეეხება ქართული მჭერმეტყველების საკითხს, მისი კვლევა მჭიდროდ არის დაკავშირებული ნიკოლოზ კანდელაკის (1907–1965) სახელსა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი მჭერმეტყველების როგორც ცალკეული ლინგვისტური და კულტუროლოგიური ფენომენის მეცნიერულად გაწაფულ შესწავლას ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. მანვე შეაგროვა ქართული მჭერმეტყველების წყაროები, შეადგინა ქართული მჭერმეტყველების ტერმინოლოგია, განსაზღვრა მეტყველების დარგის განვითარების პერიოდები, დარგები, ჟანრები, შეისწავლა ქართული მჭერმეტყველების კერები, მოიძია ქართული მჭერმეტყველების პირველწყაროები და პირველი ქართველი ორატორები: ფარსმან პირველი, ბაკური, გუბაზ მეფე, აიეტი, ფარნავაზი და სხვ. კვლევების საფუძველზე კანდელაკმა დაასაბუთა, რომ ქართულ მჭერმეტყველებას ღრმა ფესვები აქვს ეროვნულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა როგორც ხალხურ პოეზიაში, ასევე კლასიკურ ზეპირმეტყველებით ფორმებსა და სტრუქტურებში. კანდელაკის აზრით, მჭერმეტყველება ქართულ კულტურულ სივრცეში ჩამოყალიბდა არა მხოლოდ რიტორიკული საჭიროებიდან გამომდინარე, არამედ როგორც კოლექტიური ცნობიერების მეტყველებითი რეპრეზენტაცია, სადაც ეთნიკური იდენტობა, მეტყველების ლოგიკა და ემოციურობა ორგანულად არის შერწყმული ერთმანეთთან. მან გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართული ზეპირსიტყვიერება — განსაკუთრებით პოეტური და პუბლიცისტური ტიპის ტექსტები — მჭერმეტყველების

სტილისტური და დისკურსული საფუძვლების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

კანდელაკის კვლევების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან მჭერმეტყველება გაიაზრა არა როგორც მხოლოდ ორატორული ტექნიკის ერთობა, არამედ როგორც მულტიფუნქციური ლინგვისტური დისკურსი, რომელსაც აქვს სემანტიკური, პრაგმატული, ფსიქოლოგიური და კულტუროლოგიური განზომილებები.

მჭერმეტყველება არის მეტყველების ხელოვნება გავლენისთვის. იგი ზეპირი მეტყველების უმაღლესი საფეხურია, რომელსაც თავისი სპეციფიკა და მახასიათებლები აქვს:

- იგი დროით შეზღუდულია.

- მიმდინარეობს მსმენელთან ერთად, უწყვეტად, შეუჩერებლად. განსხვავებით წერითი მეტყველებისაგან, მჭერმეტყველი ვერ შეჩერდება, ვერ შეცვლის/გაასწორებს ნათქვამს. მწერალს შეუძლია შეწყვიტოს, ჩაასწოროს, შეცვალოს მანამ, სანამ გამონათქვამი მისთვის საჭირო, სასურველ სახეს არ მიიღებს.

- ზეპირმეტყველების განმსაზღვრელია კონკრეტული მომენტი, გარემო, ვითარება, რომელშიც დისკურსია მიმდინარეობს და არავერბალური კომუნიკაციის სახეები: ჟესტები, მიმიკა, ხმის ტონალობა, ტემბრი, ტემპი...

- წერითი მეტყველება სტატიკური ფორმისაა, უაღრესად სრულყოფილი, ჩამოყალიბებული, აზრის ზედმიწევნით ნათლად გადმოცემი, შეცდომა ადვილად შეინიშნება. მისგან გასხვავებით ზეპირმეტყველება დინამიკური ფორმისაა, შეცდომა ნაკლებად შეინიშნება, გრამატიკული ფორმების დარღვევის შემთხვევაშიც კი აზრის წყვეტილი ფორმაც სიტუაციურად მაინც გასაგები რჩება.

- მჭერმეტყველება მსმენელისკენ, აუდიტორიისკენ არის მიმართული და მისი აღქმა-გაგება საპასუხო რეაქციით არის განპირობებული. წერითი/ლიტერატურული მეტყველება მკითხველისაკენ არის მიმართული და, ხშირ შემთხვევაში, უკურეაგირება უცნობია.

რიტორიკის თეორიაში მჭერმეტყველების სამი ძირითადი კომპონენტი განიხილება, რომელთა ელემენტები ერთობლივად უზრუნველყოფს მეტყველების ესთეტიკურ, გამომსახველობით და ზემოქმედებით ძალას. ესენი:

1. ტროპები და მეტყველების სახეები: შედარება, მეტაფორა, ეპიტეტი, მეტონიმი, ფიგურბოლა, ლიტოტა...
2. რიტორიკული ფიგურები: ანტითეზი (საპირისპირო ცნება, მტკიცებულება, ინვერსია, გრადაცია, გამეორება, შეკითვა, პარარელიზმი..
3. ბგერითი კეთილხმოვანება: რიტმი, ფიქსირებული ფორმის დაღვევა ან გამეორება, პაუზები, მახვილი, ტემპი, რიტმი, ალიტერაცია, ასონასი...

ეს სამი კომპონენტი რიტორიკის ძირითადი სტილისტური მექანიზმებია. ისინი მჭერმეტყველებას ხდიათ არა მხოლოდ ინფორმაციულად დატვირთულს, არამედ ესთეტიკურად მიმზიდველს, დამაჯერებელსა და ზემოქმედებითს. მჭერმეტყველებით მოსაუბრე მსმენელს ასწავლის, აღელვებს, ატკბობს. რომაელი ფილოსოფოსი და ორატორი ციცერონი (ძვ. წ.106 – 43 წ.წ.) ამბობს: „ლამაზად ლაპარაკი, როგორც ჭეშმარიტი ორატორი მეტყველებს, სხვა არაფერია, თუ არა ლამაზი აზრების შერჩეული სიტყვებით გამოხატვა.“ ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (ძვ.წ. 384-322 წ.წ.) კი თავის რიტორიკაში წერს: „ არ არის

საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას. აუცილებელია აგრეთვე ის ისე ითქვას, როგორც საჭიროა“ [Аристотель – Риторика:187].

მჭერმეტყველების ფსიქო-ემოციური ასპექტების მაგალითად ავიღოთ პოეტ ზურაბ გორგილაძის გამორჩეული ლექსი „მეთევზე ბიჭის ბაღადა“, რომელიც აერთიანებს ლირიკულ სიუჟეტს, ემოციურ სიღრმესა და მდიდარ მეტაფორულ ენას და ქართულ ორატორული ხელოვნების დარგობრივი და ჟანრობრივი მაღალი განვითარების ერთი პატარა ნიმუშია. მასში მოთხრობილია, თუ როგორ გადაარჩინა მეთევზე ბიჭმა ქერა ქალი დახრჩობას.

ლექსთწყობის კეთილხმოვანება და რიტმი ბაღადის სიუჟეტს ისე ერწყმის, რომ ავტორი დახატული სურათის დეტალებს მკითხველის თანდასწრებით აცოცხლებს. მოხრობელი თვითონ მეთევზე ბიჭია, საკუთარ თავს იგი ხატოვნად, ტროპების საშუალებით ასე წარმოაჩენს: „ბიჭი ვიყავ მზეპერანგა, მოხეტიალი ანგეში“. განსაკუთრებით საინტერესო და საამოა პოეტის მიერ წყალში მოხანავე შიშველი ქალის ფიგურალური აღწერა:

„წელს ზევით კი ... ვარდისფერი ბუსუსების ფორები,
წელს ქვევით კი დავინახე, ეცვა მხოლოდ მორევი.

ბანაობდა ... და უკეთესს ქვეყნად რასმე ნახავდი?
წყალს მიჰქონდა ტანის ლანდი, როგორც ნისლის ღაღადი.

.....

გოგო თირთქვი, გოგო თართქვი, გოგო საიადონო,
თვალეbsა და ხელეbs შუა მეხრჩობოდა ბატონო....“

მწერლის პოეტური ოსტატობა და მჭერმეტყველება განსაკუთრებით ცოცხალს და ხილულს ხდის ფინალურ სცენას ბაღადაში:

„და იქ სადაც ლოდი იწვა, წყალი იდგა მომღვრიე,
ჩავყვინთე და წელზე ხელი ბადესავით მოვხვიე.
იკივლა და იყიჟინა ჰოი ქალის ბავშვობა,
ოღონდ ხელი არ მეხლო და ყაბულს იყო დახრჩობას.

.....

და ის გოგო გაწუწული, კაპარჩხანა, ქოთქოთა,
ნაპირისკენ გულწასული კალმახივით მომქონდა.“

მჭერმეტყველება უნდა იქნეს გააზრებული როგორც მრავალდონიანი დისკურსული მოქმედება, რომელიც სცილდება მხოლოდ სტილისტიკურ ოსტატობას და ფესვგადგმულია ადამიანის ფსიქოლოგიურ, კოგნიტურ და კულტურულ ბუნებაში. იგი წარმოადგენს მეტყველების იმ ფორმას, რომელიც ემყარება აზროვნების, ენის და მეტყველების რთულ ურთიერთქმედებას და კონტექსტუალურ სოციოკულტურულ გარემოს.

მჭერმეტყველება არის არა მხოლოდ ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევა, არამედ ცოდნაზე, ინტუიციაზე, ფსიქოლოგიურ განწყობაზე და სტრუქტურულ მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული დისკურსული რესურსი. ის სჭირდება როგორც დისკუსიურ, საჯარო თუ პოეტურ პრაქტიკას, ისე ეროვნული თვითმყოფადობის მეტყველებით რეპრეზენტაციას.

ნიკოლოზ კანდელაკის კვლევებმა მჭერმეტყველება მოაქცია ისტორიულ-ენათმეცნიერულ პარადიგმაში, ხოლო ზურაბ გორგილაძის ბაღადის მაგალითზე კარგად

გამოჩნდა მისი რეალიზების პრაქტიკული მხარე — როგორც ლექსიკურ-სტილისტური, ასევე ემოციური მობილიზაციის საშუალება, მჭერმეტყველების პოეტური ძალა.

ამრიგად, მჭერმეტყველება ერთდროულად არის:

- კოგნიტიური აქტივობის ფორმა,
- დისკურსის კულტურულ-იდენტობათ მხარდამჭერი ინსტრუმენტი,
- პოეტური და რიტორიკული ზემოქმედების მხატვრული მექანიზმი.

მჭერმეტყველების ანალიზი აუცილებელს ხდის ინტერდისციპლინარულ მიდგომას, რადგან ის ერთდროულად არის კოგნიტიური, ლინგვისტური და კულტუროლოგიური მოვლენა. მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი მჭერმეტყველების როგორც აზრის შემოქმედებითი ქმედების სრული აღქმა.

ლიტერატურა:

1. ბურჭულაძე, ლ. (2009). *მეტყველება და აზროვნება: კოგნიტიური ენისმცოდნეობის ასპექტები*. თბილისი: განათლება.
2. დათუაშვილი, რ. (2001). *კომუნიკაცია და ენობრივი აქტივობა*. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. კანდელაკი, ნ. (1961). *ქართული მჭერმეტყველება*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
4. კანდელაკი, ნ. (1965). *მჭერმეტყველების საკითხები ქართულ ენაში*. თბილისი: განათლება.
5. ქარცივაძე, თ. (2012). *დისკურსის თეორია და ენათმეცნიერული ანალიზი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. ჯიბლაძე, გ. (2020). *ფსიქოლინგვისტიკის შესავალი*. თბილისი: აკადემიური გამომცემლობა.
7. Searle, J. R. (1969). *Speech acts: An essay in the philosophy of language*. Cambridge University Press.
8. Sorokin, Y. A. (1985). *Psikholingvisticheskiye aspekty izucheniya teksta* [Psycholinguistic aspects of text analysis]. Moscow: Nauka.
9. Dietrich, R. (2002). *Psycholinguistik*. Tübingen: Stauffenburg Verlag.
10. Hannappel, W., & Melenz, H. (1984). *Alltagssprache: Einführung in die kommunikative Sprachverwendung*. München: Hueber.
11. Lewandowski, T. (1994). *Linguistisches Wörterbuch* (3rd ed.). Wiesbaden: Quelle & Meyer Verlag.

Catherine Kristinashvili

Doctor of Philology

e-mail: ekaterinekristi@gmail.com

Guranda Gobiani

Central European University

e-mail: gobianiguranda78@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.15>

SJIF 2025: 8.584

Psycholinguistic Parameters of Discursive Eloquence

Abstract

This article explores the phenomenon of **discursive eloquence** within psycholinguistic, rhetorical, and cultural frameworks. Eloquence is examined not merely as a skillful use of language, but as a complex interplay between **cognition, language, and speech**, deeply embedded in individual psychology and socio-cultural context. The study emphasizes the triadic model of communication, wherein thought (cognition) governs verbal expression and speech acts as the realized form of meaning-making.

Theoretical foundations include **Speech Act Theory** (Austin, Searle), which interprets language not solely as a vehicle of information, but as a means of action. In this view, discursive eloquence functions as a context-dependent, action-oriented linguistic event that unites grammatical correctness with emotional charge and stylistic richness. The article also draws on **discourse theory** to explain how communication settings and interlocutor characteristics shape verbal content and form.

A key focus is the **structural elements of eloquence**—tropes (metaphor, epithet, litotes), rhetorical figures (antithesis, parallelism, rhetorical questions), and phonetic euphony (alliteration, rhythm, intonation)—which collectively produce persuasive, aesthetically resonant, and emotionally engaging speech.

The paper foregrounds the contribution of **Nikoloz Kandelaki**, who pioneered the scholarly study of Georgian eloquence as a carrier of national identity and oral tradition. His work positioned eloquence as a representational mode of collective consciousness that fuses logic, emotion, and ethnic expression in speech.

The final section analyzes **Zurab Gorgiladze's poem "Ballad of the Fisher Boy"** as a poetic embodiment of discursive eloquence. Through vivid imagery, rich metaphors, and rhythmic harmony, the poem demonstrates how emotional experience is encoded and transmitted via stylistically enhanced discourse.

რეცენზენტი: პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა